სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2017 წლის 30 მაისის ბრძანება №103/01–01** საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: **ტექნიკური ინფორმატიკა** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2017 წლის 7 ივნისის დადგენილება №65/2017** მე–3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი „21" ივლისი, 2017 წ.
12:00

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი: 1. კობა გელაშვილი (კომისიის თავმჯდომარე); 2. მანანა ხაჩიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ირინა ხუციშვილი (კომისიის მდივანი); 4. ბიძინა მიდოდაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: **ტექნიკური ინფორმატიკა** ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ კობა გელაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ კონკურსანტმა I კატეგორიაში: „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს". II კატეგორიაში: „პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი 3 საბაკალავრო და 2 სამაგისტრო კურსი. საბაკალავრო კურსები არის კომპიუტერული მეცნიერების სასწავლო გეგმაში და ამჟამად იკითხება მის მიერ, წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს. წარმოდგენილი სამაგისტრო კურსები არაა სასწავლო გეგმაში, მაგრამ პროგრამის ცვლილების შემთხვევაში შესაძლოა მათი ჩართვა სასწავლო პროგრამაში. ამდენად, მის მიერ II კატეგორიაში მიღებულია უმაღლესი შეფასება. III კატეგორიაში: „სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა", მის მიერ წარმოდგენილია 16 გამოქვეყნებული პუბლიკაცია. აქედან, ერთი არის იმპაქტ-ფატორის მქონე ჟურნალში. ბოლო 6 წლის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიიღო ერთ საგრანტო პროექტში. კონკურსანტის სამოტივაციო წერილი სრულ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის მაღალი. IV კატეგორიაში მის მიერ არ იყო წარმოდგენილი არავითარი მასალა, თუმცა, შემდეგში, გასაუბრების დროს გაირკვა რომ იგი არის საბაკალარო და სამაგისტრო ნაშრომების,

ჯგუფური პრიექტების ხელმძღვანელი და ა.შ. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის დაბალი.
გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა შესაბამისობაშია კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: ტექნიკური ინფორმატიკა არსებულ ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიასთან.

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრა: **ტექნიკური ინფორმატიკა** ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

მაია არჩუაძე – ასისტენტ-პროფესორი;

მოისმინეს: კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ **№118/2014** დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე, პროფ. / კობა გელაშვილი /

კომისიის წევრები:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. / მანანა ხაჩიძე /

კომისიის წევრი, ასოც. პროფ. / ზიძინა მიდოდაშვილი /

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ. / ირინა ხუციშვილი /